ბჭობა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 3 (224) გამოცემის მე-13 წელი • 1969 წლის 12 სექტემბერი

მე-2 გვერდზე

● მოქმე რესპუბლ ებში — ამ რუბრიკით მკითხველი გაეცნობა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის საინტერესო სიახლეებს. აქვე შეგიძლიათ წაიკითხოთ საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსის ანატოლ კაჭარავას წერილი საქართველოს ფლოტის საქმიანობაზე.

მე-3 გვერდზე

● მიკვლეული და ჩაწერილია 80-მდე წმინდა ქართული (მესხური) მელოდია! — კომპოზიტორ ვალერიან მაღრაძის წერილი ბევრ საინტერესო ცნობას მოგაწვდით. ამავე გვერდზე გაეცნობით მასალას მხატვარ ალექსანდრე ზერვაშიძეზე.

მე-4 გვერდზე

● სამართლიანად უწოდებენ ქართულ ენას სიყვარულის, მეგობრობის, ლექსის ენას. რუბრიკით — „ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ“ — გთავაზობთ აკადემიკოს აკაკი შანიძის მიმართვას თანამემამულეებისადმი, პოეტ ლადო ასათიანის ლექსს, ყოფილი ემიგრანტის შოთა თარხნიშვილის მოგონებას.

მე-5 გვერდზე

● „არს ესე მარტყოფი ვენახოვანი, ხილიანი... ჰავითა მშვენი“, — წერდა ვახუშტი ბაგრატიონი 200 წლის წინათ. როგორია იგი დღეს, ამაზე მოგითხრობთ რეზო მაჭავარიანის წერილი „მარტყოფი — დიდი სოფელი“.

მე-6 გვერდზე

● ნორჩ მკითხველებს ეძღვნებათ განყოფილება „შენ გიგალობ პატარავ“... ხომ გაინტერესებთ ახალი თეატრალური სეზონი? მასალები აქვეა მოთავსებული.

მე-7 გვერდზე

● როგორც ადრე, ახლაც მთელი გვერდი დავუთმეთ სპორტს. დღეს ძირითადად ჰანდბოლზე გესაუბრებით.

● ბოლო გვერდზე შეგიძლიათ გაეცნოთ მასალებს — „საქართველო — ტურიზმის ქვეყანა“. ვფიქრობთ, დაგაინტერესებთ „ქართული სამზარეულო“.

ბჭობის ნომერზე!

საყოველთაო-სახალხო საქმე



● დარჩა სექტემბრის ზარმა. დაიწყო ახალი სასწავლო წელი. მილიონამდე გოგონა და ბიჭუნა მიუსხდა სკოლის მერხს.

თამარ ლაშქარაშვილი,

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

ჩვენი რესპუბლიკა სკოლამდელ დაწესებულებათა, სკოლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მჭიდრო ქსელით არის დაფარული. მარტო სკოლამდელ დაწესებულებებსა და სხვადასხვა საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მილიონამდე მოწაფე სწავლობს.

მთებში მიმალულ სულ პატარა სოფლებშიც კი, სადაც ზოგჯერ სასკოლო ასაკის მხოლოდ 3-4 ბავშვია, გახსნილია დაწყებითი სკოლა. შემდეგ ბავშვები განაგრძობენ სწავლას ახლომდებარე საშუალო სკოლებში, რომელთა რიცხვი დღეს საქართველოში 1.400 აღწევს.

მაღალმთიანი რაიონების ბავშვებისათვის გახსნილია სკოლა-ინტერნატები, სადაც ყველა პირობაა შექმნილი ნორმალური ცხოვრებისა და სწავლისათვის.

ყურადღების ცენტრშია მოზრდილთა განათლებაც. ახალგაზრდა მუშები და კოლმეურნეები ზოგად განათლებას იღებენ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელ საშუალო სკოლებში.

მიმდინარე სასწავლო წელს რვაწლიანი სკოლის კურსდამთავრებულთა უმეტესობა სწავლას განაგრძობს საშუალო სკოლის მეცხრე კლასში, ნაწილი კი — საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში. ერთი სიტყვით, ყოველი 100 მოზარდიდან საშუალო განათლებას იღებს 97.

ამრიგად, მთავარი ამოცანა, რომელიც ამჟამად საბჭოთა სკოლის წინაშე დგას — საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა, — საქართველოში თითქმის დაძლეულია.

რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა უსინათლო და ყრუმუნჯ, აგრეთვე გონებრივად და ფიზიკურად ჩამორჩენილ ბავშვთა სახელმწიფო აღზრდას. მათთვის მოწყობილია სპეციალური სკოლა-ინტერნატები სათანადო სასწავლო კაბინეტებით, ლაბორატორიებითა და სახელოსნოებით.

ბავშვთა აღზრდა, სკოლების მუშაობის შინაარსი ბევრად არის დამოკიდებული სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებზე. ამიტომ მათ სრულყოფას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები მუშაობენ საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ შედგენილი და დამტკიცებული სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით. რესპუბლიკაში ყოველწლიურად 135 დასახელების ხუთ მილიონამდე ცალი სახელმძღვანელო იბეჭდება, რომელთაგან ორი მესამედი ორიგინალურია.

განათლების ორგანოების ყურადღების ცენტრში დგას ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების სრულყოფა. საგრძნობლად იზრდება იმ სკოლებისა და მასწავლებლების რაოდენობა, რომლებიც გულმოდგინედ იცავენ ენის სიწმინდეს და მოსწავლეებს უნერგავენ სწორი ზეპირი და წერითი მეტყველების ჩვევებს.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება მათემატიკური ციკლის დისციპლინათა სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე.

ამჟამად რესპუბლიკის სკოლებში 75 ათასამდე მასწავლებელი მუშაობს. მათ უმრავლესობას უმაღლესი სპეციალური განათლება აქვს. ყოველწლიურად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში იგზავნება სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის ჭუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, თელავის, გორის პედაგოგიური და თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტების 1.300-მდე კურსდამთავრებული.

დიდად ეხმარება მასწავლებლებს მუშაობაში პედაგოგიური პრესა. პოპულარობით სარგებლობს გაზეთი „სახალხო განათლება“, რომელმაც 1968 წელს არსებობის 40 წლისთავი აღნიშნა. ქართველი პედაგოგებისათვის გამოდის აგრეთვე ჟურნალი „სკოლა და ცხოვრება“, სხვადასხვა ხასიათის მეთოდური კრებულები და სხვა.

მასწავლებელთა პედაგოგიური კულტურის ამაღლებაში აქტიურად მონაწილეობს საქართველოს პედაგოგიური საზოგადოება, რომელიც თავის რიგებში 30.000 წევრს აერთიანებს. საქართველოს განათლების სამინისტროს სისტემაში შემოდის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც აზოგადებს სკოლებისა და მასწავლებლების საუკეთესო გამოცდილებას, სწავლობს პედაგოგიკის ისტორიისა და თეორიის, პედაგოგიური ფსიქოლოგიის, სასკოლო ჰიგიენის აქტუალურ საკითხებს, დაწყებით და საშუალო სკოლებში ცალკეული საგნების სწავლების მეთოდიკის პრობლემებს.

სახალხო განათლების საერთო სისტემაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებები — პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეები და სახლები, ბავშვთა ტექნიკური სადგურები, პიონერთა და მოსწავლეთა პარკები, ნორჩ ტურისტთა და ნატურალისტთა სადგურები, საბავშვო თეატრები და კინოთეატრები.

დიდი მუშაობა წარმოებს ბავშვთა ფიზიკური აღზრდისათვის. ამ საქმეში განსაკუთრებულ როლს ასრულებენ საბავშვო სპორტული სკოლები, რომლებიც 30-იან წლებში პირველად საქართველოში დაარსდა.

საქართველოს კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენენ მომავალი თაობის აღზრდასა და განვითარებაზე. უკანასკნელ წლებში ერთი ათად გაიზარდა სახელმწიფო კაპიტალური დაბანდება განათლების ობიექტთა მშენებლობაზე. სკოლებს აშენებენ აგრეთვე ცალკეული საწარმოები და კოლმეურნეობები.

სკოლაზე ზრუნვა მთელი ხალხის, საერთო-სახელმწიფოებრივ საქმედ იქცა.



სკოლისაკენ

ვალერიან გენგიურის ფოტო

ზღვებსა და ოკეანეებში



1967 წლის 9 ივლისს აღიმართა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს დროშა. ამ დღეს ბათუმის ნავსადგურიდან ალექსანდრიისაკენ გეზი აიღო ტანკერმა „ალაგირმა“. ეს იყო საქართველოს სანაოსნოს გემის პირველი რეისი.

მას შემდეგ სულ ორმა წელიწადმა განვლო, მაგრამ ამ ხნის მანძილზე დიდი ცვლილებები მოხდა. ახლა საქართველოს საზღვაო სანაოსნო სოლიდური კომპლექსური სატრანსპორტო ორგანიზაციაა. რომელიც სამ ნავსადგურს — ბათუმს, სოხუმსა და ფოთს აერთიანებს და რომელსაც თავის განკარგულებაში ჰყავს ათიათასობით ტონაჟიანი გემი. ტყირთამწეობის 27 ნავთობსაზიდი გემი. უახლოეს მომავალში ეს რიცხვი ერთიორად გაიზრდება. საერთო ტვირთამწეობით ჩვენ უკვე ვუსწრებთ ისეთ ძველ სანაოსნოებს. როგორიც არის დუნაის ესტონეთის, კამჩატკისა და სახალინის სანაოსნოები. ჩვენი დაკვეთით ხომალდებს გვიგებენ ცნობილი გემსაშენებელი ქარხნები — „რაუმა-რაპულა“ ფინეთში და „სპლიტი“ იუგოსლავიაში. ახლახან მივიღეთ ორი ტანკერი. მალე ველოდებით ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილ კიდევ ოთხ გემს. მათ შორის იქნება „ახალციხე“ და „ნიკოლოზ ბარათაშვილი“.

საგულისხმოა, რომ ჩვენი სანაოსნო თავდაპირველად თითქმის მოლიანად სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული კადრით იყო დაკომპლექტებული. ამუამად კადრების ორი მესამედი ადგილობრივია.

მოგეხსენებათ, ზღვა მკაცრია და დაუნდობელი ათას მოულოდნელ ხიფათს უმზადებს ადამიანს. მხოლოდ ძლიერთა ხვედრია მისი დამორჩილება. ქართველი ახალგაზრდობა, რომლის ვაჟკაცური ბუნება კარგად ეხამება ზღვის რომანტიკასა და სიძნელეებს, ხალისით მოდის გემზე სამუშაოდ. ჩვენივის სპეციალისტებს ამზადებენ ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი და პროფტექნიკური სასწავლებლის სპეციალური განყოფილება. მომავალში კონტიხგენტი კიდევ უფრო გადიდდება პროფტექნიკური სასწავლებელი ყოველწლიურად 800 მდე კურსდამთავრებულს გამოუშვებს.



ჩვენი სანაოსნოს ძირითადი მოვალეობაა სახელმწიფო ტვირთის გადატანა, საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებათა რეალიზაცია. მოგზაურობა გვიხდება საზღვარგარეთის ათეულობით ქვეყანაში. ყველაზე ხშირი მიმოსვლა გვაქვს გვინეაში. არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, ალჟირში, იტალიაში, საფრანგეთში, თურქეთში ჰოლანდიაში, ინგლისში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში... ამის გარდა, შორეულ ზღვებსა და ოკეანეებში მყოფ ჩვენს თევზსაჭერ გემებს სისტემატურად ვაწვდით ბუნკერებს.

საქართველოს სანაოსნოს ბევრი მოწინავე ეკიპაჟი ჰყავს. შარშანდელი მაჩვენებლების მიხედვით ტანკერი „კროვი“, რომელსაც კაპიტანი რომან ჭიბლაძე მეთაურობს პირველ ადგილზე გამოვიდა საკავშირო შეჯიბრებაში. ეკიპაჟის უველა წევრი ფულადი პრემიით დაჯილდოვდა. კარგად მუშაობენ სხვა გემების ეკიპაჟებიც. მოწინავეთა შორის არიან ტანკერები „ბორჯომი“, „ალაგირი“, „გორი“, „ფოთი“, „აზერბაიჯანი“ „ადიგენი“, „კიროვი“, „კიროვის“ ეკიპაჟის უოველი წევრი გარდა საგანგებო ხელფასისა პრემიისა და დამატებითი სამუშაოს ანაზღაურების სახით, კიდევ თითქმის ერთ იმდენსავე თანხას იღებს. თავი ისახელეს კაპიტნებმა რომან ახობაძემ, მურად ქათამაძემ, ავთანდილ ბროკიშვილმა, ჯუმბერ ინწკირველმა და სხვებმა.

ნავსადგურში დაძაბული შრომა არასდროს წყდება. ასეა ახლაც. შესასრულებელია დიდი მოცულობის სამუშაოები — შორეულ რაიონებს დროულად უნდა მივაწოდოთ სხვადასხვა სამრეწველო ტვირთი, დაუყოვნებლივ გადმოვტვირთოთ უცხოეთიდან მიღებული პროდუქცია.

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა ქვეყნის სხვა სანაოსნოთა შორის. თითოეულმა ჩვენგანმა კარგად იცის ეს და მთელი შეგნებით, მონდომებით იღვწის იმისათვის, რომ შორს გაიტანოს ქართველი მეზღვაურის სახელი.

ანატოლ კაჰარავა,

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსი

არჩილ გიგოშვილის ხსოვნას



ძნელია შეურიგდე იმ აზრს, რომ ადამიანი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენს შორის ტრიალებდა, შრომობდა, იღვწოდა, რომელიც მთელი სიცოცხლით დაკავშირებული იყო ხალხთან და სამშობლოსადმი თავდადებული სამსახურის მაგალითს იძლეოდა, გამოაკლდა ჩვენს რიგებს. გაზეთი „სამშობლო“ მწუხარებით აუწყებს თავის მკითხველებს, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე არჩილ ალექსანდრეს ძე გიგოშვილი.

არჩილ გიგოშვილმა ცხოვრების დიდი გზა განვლო — სტამბის რიგითი მუშიდან რესპუბლიკის მინისტრამდე და მთელი შეგნებული ცხოვრება მოახმარა ხალხის სამსახურს, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის წინსვლის საქმეს.

თავისი სამშობლოს დიდი პატრიოტი, ნიჭიერი ორგანიზატორი, მომთხოვნი, პრინციპული კომუნისტი, დიდი სათნოებით დაჯილდოებული უბრალო ადამიანი — ასეთი იყო არჩილ გიგოშვილი და ასეთად დარჩება უველას ხსოვნაში, ვინც მას იცნობდა.

„შორეული, ძვირფასი საქართველო“

● „შორეული, ძვირფასი საქართველო“ — ეს სიტყვები წამძღვარე ბუღი აქვს კომენტარს, რომელიც იუგოსლავიის ყოველკვირეულმა „სვეტმა“ გამოაქვეყნა იმასთან დაკავშირებით, რომ იუგოსლავიის ტელევიზიის ეკრანებზე უჩვენეს სტუდია „ქართული ფილმის“ მხატვრული კინოსურათი „ხევსურული ბალადა“.

„კინოფილმი „ხევსურული ბალადა“ საერთაშორისო კლასის, უაღრესად პოეტური და ადამიანური ნაწარმოებია“, — წერს „სვეტი“.

„ეს ფილმი, რომელიც ანტიკურ ტრაგედიასა და ჩვენს ძველ ხალხურ ბალადებს უახლოვდება, აუცილებლად უნდა ვაჩვენოთ ჩვენი კინოთეატრების ეკრანებზე“ — აღნიშნავს ყოველკვირეული.

კოსმონავტი ბათუმში



● ბათუმის ზღვისპირა პარკის ხეივნებში, პლაჟისაკენ მიმავალ გზაზე ამ დღეებში ხშირად ნახავდით საბჭოთა კავშირის გმირს, კოსმონავტს, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორს კონსტანტინე ფეოქტისტოვს. ბათუმელები მოიხიბლნენ მისი უბრალოებით, სისადავით. თვით ფეოქტისტოვმა კი აღნიშნა, რომ ძალზე მოსწონს აჭარის წარმტაცი ბუნება. სწორედ ამიტომ ესტუმრა იგი ბათუმს მესამედ.

ქრონიკა

ქრონიკა

ქრონიკა

ქრონიკა

მოძმე რესპუბლიკებში

ეროვნული პარკი დალესტანში

დაღესტანში რესპუბლიკის საზოგადოებრიობის ინიციატივით შეიქმნა ეროვნული პარკი. მისთვის შერჩეულია ზემო ღუნიბის ტერიტორია, სადაც ერთმანეთს ერწყმის მთის პეიზაჟის სილამაზე, თავისებური ფლორა და ფაუნა, ისტორიული ძეგლები. ამასთან, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, მზისა და მთის სამკურნალო ჰაერის სიუხვით ეს რაიონი არ ჩამოუვარდება შვეიცარიის დავოსს.

პარკი უკვე იზიდავს მრავალრიცხოვან სტუმარს, რომლებისთვისაც გახსნილია ტურისტული ბაზები.

ყველაზე ახალგაზრდა სტუდენტები

12 წლის საშა დვორაკმა გამოცდები ჩააბარა ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტში და მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

ფაკულტეტის დეკანმა საშასთან საუბრისას გამოარკვია, რომ მას დახსომების არაჩვეულებრივი უნარი აქვს. ბიჭი მაღაროელთა ქალაქ მაკეევკაში სწავლობდა და უოველ წელიწადს ორი კლასის პროგრამას გადიოდა. მას არც ცხრა წლის და ჩამორჩება, რომელიც 7 წლისა მიიღეს სკოლაში და უკვე მეექვსე კლასშია, ხოლო 4 წლის ძმა — პეტია თავისუფლად კითხულობს.

კიევის უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა აგრეთვე 14 წლის მარინა ბურიკო. თუ მარინა და საშა ისევე უოჩაღად განაგრძობენ სწავლას, როგორც სკოლაში მეცადინეობდნენ, მაშინ ისინი გაიმეორებენ თავისებურ „რეკორდს“, რომელიც ცნობილმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ბოგოლიუბოვმა დაამყარა. მან ხომ კიევის უნივერსიტეტი 16 წლისამ დაამთავრა!

მეოცე საუკუნის ჰომეროსი

მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, ზეიმით აღინიშნა კაჟკაჯის დიდი მომღერლისა და სახალხო პოეტის, მეოცე საუკუნის ჰომეროსის — როგორც მაქსიმ გორკიმ უწოდა,— სულეიმან სტალსკის დაბადების 100 წლისთავი.

საიუბილეო ზეიმზე თავი მოიყარეს ჩვენი ქვეყნის გამოჩენილმა პოეტებმა და მწერლებმა. იუბილარის შემოქმედებაზე ილაპარაკა პოეტმა რასულ გამზათოვმა.


ხალხთა მეგობრობის შესანიშნავი მომღერლის შემოქმედებითი საღამოები გაიმართა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქსა და რაიონში.

საზეიმოდ გამოიყურებოდა პოეტის აული აშაგა-სტულიც. მალე აულს დაამშვენებს სულეიმან სტალსკის ძეგლი. საიუბილეოდ გამოიცა პოეტის ლექსები, აგრეთვე იუბილარზე გორკის, შოლოხოვის, ტიხონოვის, იანკა კუპალას, ჯამბულის, გამზათ ცადასისა და სხვათა მოგონებები კრებული. დაღესტნის კინოსტუდიამ გადაიღო კინოფილმი — „მეოცე საუკუნის ჰომეროსი“, პოეტის სახელობის თეატრმა კი მოამზადა სპექტაკლი — „სულეიმან სტალსკი“.

გაზსადენი საზღვარზე

ბაქო. დაიწყო ირან-საბჭოთა კავშირის გაზსადენის 220-კილომეტრიანი საბჭოთა უბნის მშენებლობა. მშენებლები შეუდგნენ მილების შედუღებას.

გაზსადენის ტრასაზე, რომელიც გადაკვეთს საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვარს ქალაქ ასტარის რაიონში, იწყება პირველი ტრანშეების გაყვანა.



ქართული კერამიკა იაპონიაში



1970 წელს მსოფლიო გამოფენაზე იაპონიაში სსრ კავშირის სტენდს დაამშვენებს ქართული კერამიკის შესანიშნავი ნაკეთობანი. ამას წინათ თბილისის სამშენ მასალათა კომბინატმა ქალაქ ოსაკაში გაგზავნა გამოშვებული პროდუქციის ნიმუშები. კომბინატში ყოველთვიურად მიმდინარეობს კერამიკის 30-მდე ახალი ნიმუშის ათვისება და სერიულად გამოშვება, რომლებიც იგზავნება საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, უნგრეთსა და სხვა ქვეყნებში.

• • •

სურათზე: ეს ნაკეთობანი ექსპონირებული იქნება ქალაქ ოსაკაში მსოფლიო გამოფენაზე.

საფრანგეთის დღეები საქართველოში

ყოველწლიურად როგორც საქართველოში, ისე საფრანგეთში იმართება ამ ორი სახელმწიფოს დღეები.

წელეულს ეს დღეები 16 სექტემბერს საზეიმოდ გაიხსნება თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში. გათვალისწინებულია ფრანგული კამერული მუსიკის კონცერტები, საუკეთესო კინოფილმების ჩვენება. მოეწყობა ბავშვთა ნამუშევრებისა და ფრანგული წიგნის გამოფენები, ფოტოსურათებისა და რეპროდუქციების დემონსტრირება. ათი დღის განმავლობაში საქართველოს რადიო და ტელევიზია სისტემატურად გადასცემს ფრანგულ მუსიკას, ლექციებსა და საუბრებს ფრანგულ ხელოვნებაზე.

მესხური ხალხური საუნჯე

ქართველმა ხალხმა თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ბევრი შესანიშნავი, მრავალხმიანი სიმღერა შექმნა. ამჟამად საქართველოს თითქმის ყველა კუთხის ხალხური სიმღერაა ცნობილი. უკანასკნელ დრომდე გამონაკლისს წარმოადგენდა სამხრეთი საქართველო — ამ კუთხის ხალხური სიმღერები დაკარგულად ითვლებოდა. ეს კი, მესხეთ-ჯავახეთის ისტორიული ავბედობის გამო სრულიად ბუნებრივად იყო მიჩნეული. ცნობილი იყო მხოლოდ 6 მესხური მელოდია, რაც, ცხადია, მეცნიერული შესწავლის საფუძველს არ იძლეოდა.

1961-68 წლებში ამ სტრიქონების ავტორმა (წარმოშობით მესხმა) მოაწყო რამდენიმე ექსპედიცია. დაბრკოლება ბევრი შეგვხვდა — სხვადასხვა სოფელში თითო-ოროლა ხანდაზმულ მესხს თუ ახსოვდებოდა მივიწყებული სიმღერის რომელიმე ხმა. მაგრამ მაინც დაწვრილებით შევისწავლეთ მკვიდრი მესხებისა და ჯავახების სოფლები. შედეგიც მოულოდნელი და ფრიად სასიკეთო აღმოჩნდა: მაგნიტოფირებზე და რვეულებში 700-ზე მეტი ჩანაწერიდან შესაძლებელი გახდა 80-მდე წმინდა ქართული (მესხური) მელოდიის შერჩევა.

ახლა უკვე გვაქვს მესხური მუსიკალური კულტურის ღრმა და საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლის საშუალება, თუმცა ზოგიერთი საკითხი უკვე გამოკვლეულია და შეიძლება მათი შედეგების გაზიარებაც.

როგორც დაკვირვება გვიჩვენებს, სამხრეთ საქართველოში გავრცელებული უოფილა ფერხულები, შრომის, საწესო, საუოფაცხოვრებო, სუფრული სიმღერები. ძიებით აღვადგინეთ სიმღერების ნაწილი, მათი შესრულების წესი. გაირკვა, რომ მესხეთ-ჯავახეთში ადრე არსებულა სამჭგუფური შესრულება ანუ სამპირული გუნდები. ამიტომ ტექსტების ფორმებიც მეტად თავისებურია, მათი უმეტესობა ერთ სამტაეპიან სტროფს წარმოადგენს, რომელიც შესრულების დროს სათანადო მოდიფიკაციას განიცდის და გარდაიქმნება 3-სტროფიან (3.5, 6.9-ტაეპიან) სასიმღერო ტექსტად. ამიტომ ყველა სუფრული და ზოგიერთი სხვა სიმღერაც მესხეთში, როგორც წესი, სამხარით (სამ მუხლად) სრულდება.

გაირკვა ფრიად საგულისხმო მეორე წესიც — მესხური სუფრის მსვლელობა და სუფრული სიმღერების შესრულების თანმიმდევრობა.

მესხური სუფრულის მსვლელობაში სამი ძირითადი ეტაპი აღინიშნება: სუფრის გახსნა, ლხინში შესვლა და სუფრის დახურვა. სუფრის დაწყებისას ჯერ ითქმება 6-8 სადღეგრძელო. ამ დროს სუფრულების შესრულება არ შეიძლება, რადგან სუფრა ჯერ „გახსნილი არ არის“. აქ მღერიან სამხიარულო სიმღერებს, მაგალითად, „ოთხი წყარო დის“, „მიმინო გვყავდა“, „მრავალუამიერისა“ და „სამაღლობელოს“ ერთერთ სახეობას, ცეკვავენ, მხიარულობენ. მხოლოდ ამის შემდეგ მიმართავს თამადა სიმღერების კარგ მცოდნეთ: გახსენით სუფრაო. გადმოცემით, სუფრა იხსნება სპეციალური სუფრულით, რომელსაც ჰქვია „სუფრის გახსნის სუფრული“. ესენია „ჯერ, პირველად, ღმერთი ვახსენოთ“, „დღეს იმისთვის ვწუხვარ, ვგლოვ, რომ“, „მტერმა თავის სიმართლითა“. მხოლოდ სმის შემდეგ შეიძლება „სუფრის გახსნის სუფრულების“ გარდა სხვა სუფრულების შესრულება. გათენებისას ჯი, როდესაც ლხინი მთავრდება, შემოსძახებენ „შემოძახილებს“ ეს უკვე სუფრის დამთავრების მანიშნებელია და ამიტომ მათაც „სუფრის დახურვის სუფრულები“ ეწოდებათ. სუფრის დახურვისათვისაც სპეციალური სუფრულებია: „რათ არ იმღერით, დარბაზნო“, „წასვლა სჯობს წამამავლისა“, „კორკოტი ვჭამეთ ასლისა, დრო არის ჩვენი წასვლისა“ და სხვა.

ამრიგად, გამოიკვეთა მესხური სუფრის საუნებით ჩამოყალიბებული ფორმა, რომელიც აქამდე უცნობი იყო ჩვენი ფოლკლორისტიკისათვის.

მესხეთ-ჯავახეთში შეგროვილი მასალა ბევრ საინტერესო საკითხს შეიცავს. თითქმის უველა 80-მდე მელოდია, აგრეთვე ბევრი სასიმღერო ლექსი დღემდე უცნობი იყო.

ისტორიული ავბედობის პერიოდებში მესხეთ-ჯავახეთის მცხოვრებთა ნაწილი ძალით იდევნებოდა ან იძულებული ხდებოდა გახიზნულიყო მშობლიური კუთხიდან. რასაკვირველია, მათ თან მიჰქონდათ მამაპაპური სიმღერებიც. ჩვენს მკითხველთა შორის შესაძლებელია აღმოჩნდნენ ისეთნიც, რომლებსაც დღესაც ახსოვთ ძველებური მესხური სიმღერები ან მათი შესრულების წესები, ან იქნებ წინაპართაგან გაუგონიათ მათ შესახებ რამე. და თუ გამოგვიგზავნით ჩანაწერებს მაგნიტოფირზე, ნოტებით ან წერილობით გვაცნობებთ სიმღერების ან მათი მცოდნეების ამბავს, დიდად დავალებული და მადლობელი დაგრჩებით.

ვალერიან მაღრაძე,
კომპოზიტორი

დაბრუნება



მხატვარ ალექსანდრე შერვაშიძის ნამუშევართა გამოფენის გამო

რამდენიმე დღეა. რაც კურორტ ბიჭვინთაში საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმმა გამოიჩინა თეატრალური მხატვრის ალექსანდრე შერვაშიძის (ჩაჩბას) ნაწარმოებთა გამოფენა გახსნა.

ალექსანდრე შერვაშიძე წარმოშობით აფხაზია. მისი შემოქმედება გამოირჩევა იდეურობითა და მხატვრული ოსტატობით და დიდი განძია მსოფლიო თეატრალურ დეკორაციული ხელოვნების განვითარების ისტორიაში.

ჯერ კიდევ რევოლუციამდე ალექსანდრე შერვაშიძე წლების მანძილზე მუშაობდა მხატვარ-შემსრულებლად პეტერბურგში, მოსკოვსა და საფრანგეთში, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა გამოჩენილ რუს ოსტატებთან — ვალერი სეროვთან, იგორ გრაბართან, ალექსანდრე ბენუასთან, ევგენი ლანსერესთან და სხვებთან. ეს იყო არა მარტო პირადული, არამედ შემოქმედებითი მეგობრობა და თანამშრომლობა. რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მოწინავე ხელოვნებასთან ურთიერთობამ კვალი დაატყო შერვაშიძის მოღვაწეობას. მისი შემოქმედება ღრმად ეროვნულია, თავისი ხასიათით ხალხურია და ძალზე ემოციური. შერვაშიძემ შექმნა საუცხოო ქმნილებანი, რომლებიც გამოირჩევიან მხატვრული სახეების პოეტურობით, აღქმის უშუალობით, კოლორიტის სიმდიდრითა და სიფაქიზით,



ფერწერული ოსტატობის სიახლით.

ალექსანდრე შერვაშიძე 1867 წელს დაიბადა. კიევის რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1891 წელს შევიდა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში. 1893-1906 წლებში სამხატვრო განათლების გასაგრძელებლად იმყოფებოდა პარიზში, სადაც მუშაობდა გამოჩენილი ფრანგი მხატვრების სახელოსნოებში.

1907 წელს შემოქმედი რუსეთში ბრუნდება და მუშაობს როგორც მხატვარ-დამდგმელი და დეკორატორ-შემსრულებელი მარინის თეატრში. მან აქ გააფორმა ოპერები „ტრისტან და იზოლდა“ (1910), „ვარდების საოცრება“ (1914), „თალიმან დრაგო“ (1909), ხოლო ალექსანდრიის თეატრში „მასხარა ტანტროსი“ (1910), „ჰამლეტი“ (1912), „საუზმე წინამძღოლთან“ (1913) და სხვა.

აღნიშნული დადგმების ესკიზები გამოირჩევა შემოქმედებითი ჩანაფიქრის ორიგინალობით ნატიფი გემოვნებით, მსუყე კოლორიტით, ემოციური შინაარსით და სპექტაკლის მუსიკალური ქარგის განუყოფელი ნაწილია.

1918 წელს შერვაშიძემ სოხუმში ბუტკოვსკაიასთან ერთად ჩამოაყალიბა მსახიობთა საზოგადოება და გახსნა თეატრალური კურსები, რომელზეც აფხაზი ახალგაზრდობა ეუფლებოდა სამსახიობო ხელოვნებას. აქ განხორციელდა ხალხური საგმირო სიმღერის — „გულში დაჭრილის“ ინსცენირება.

შემოქმედებითი ცხოვრების უკანასკნელი წლები ალექსანდრე შერვაშიძემ სამშობლოდან მოშორებით, საფრანგეთში გაატარა, მაგრამ სამშობლოს სიყვარული ნათელ ალად ენთო მის გულში. საფრანგეთში ცნობილ ქორეოგრაფ დიაგილევთან ერთად იგი ბევრს მუშაობდა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის — „ვეფხისტყაოსნის“ დეკორაციებზე, ეს დიდებული ნაწარმოები ბალეტად უნდა დაედგათ.



შერვაშიძე გულისყურით უსმენდა სამშობლოს ხმას. მასზე ფიქრობდა... 1958 წელს მან საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს საჩუქრად გადასცა თავისი 600 ნაწარმოები. მისი შემოქმედების ნიმუშების საუკეთესო ნაწილი სოხუმის სახელმწიფო სურათების გალერეაში ინახება.

მხატვრის ქალამს ეკუთვნის უამრავი სტატია სახვითი ხელოვნების საკითხებზე. ეს წერილები ძალზე აქტუალურია თემატიკით და ხელოვნებისმცოდნეობისათვის ძვირფასი საგანძურია.

ალექსანდრე შერვაშიძე გარდაიცვალა 101 წლის ასაკში, 1968 წლის 7 აგვისტოს ნიცაში და იქვეა დასაფლავებული რუსთა სასაფლაოზე.

მხატვრის გამოფენამ ბიჭვინთაში ძალზე დიდი ინტერესი გამოიწვია. ყოველდღიურად ასობით მნახველი სიამოვნებით ეცნობა ამ საუცხოო ხელოვანის შემოქმედებას. ბიჭვინთაში გამოფენა კიდევ ერთ თვეს გაგრძელდება. შემდეგ სოხუმში გადაინაცვლებს, უფრო მოგვიანებით კი თბილისსაც ეწვევა.

ალექსანდრე შერვაშიძის როგორც თეორიული, ისე ფერწერული შემოქმედებითი მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა ჩვენი საპატიო ვალია.

შალვა ამირანაშვილი,
აკადემიკოსი



სურათებზე: ზევით — „ჭალის პორტრეტი“; ქვევით — თეატრალური კოსტიუმების ესკიზები.



ჩვენს თანამემამულეებს!

საშობაოს მოშორებული ჩვენო ძმებო და დებო! ვინ იცის, როგორ მოხდა, რომ მოსწყდით დედასაქართველოს და აღმოჩნდით უცხო მხარეს. ვინ იცის, რამდენი ცრემლი დაგიღვრიათ თქვენ და თქვენს მამა-პაპათ უცხო ქვეყანაში მოხვედრის გამო. შორსა ხართ ჩვენგან და ვერ გვაჯვდენთ ხმას, ვერც ჩვენი გულისთქმა აღწევს თქვენამდე. ცხადია, ეს ყველას გვაწუხებს. ღვიძლი ძმებისა და დების გაყრა და ერთმანეთისაგან დაშორება მეტად ძნელია.

ჩვენო თანამემამულენო! ჩვენი ფიქრი და საერთო საზრუნავი ერთია: არ დავივიწყოთ დედაენა, ჩვენი ტკბილი ქართული. ეს ენა საამაყო ენაა, რომელზეც მეხუთე საუკუნიდან მოგვეპოვება მწერლობა, რომელზეც დაიწერა საქვეყნოდ განთქმული „ვეფხისტყაოსანი“ და ბევრი სხვა მშვენიერი თხზულება.

ეცადეთ, ყოველმხრივ ეცადეთ, არ დაივიწყოთ ქართული ენა და ქართული წერა-კითხვა!

აკაკი შანიძე

ქართული ენა

ლადო ასათიანი

საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენავ!
მოიმღერა დღემდის უძველესმა ტომმა
შლეგი ჩანჩქერების ნაპრალებზე ხლტომა,
მყინვარების ღვთიურ ბრწყინვალებით დნობა,
ჯაგნარებში ირმის ჯოგის ნავარდობა,
გაფახტული ფარის მთაზე დაჯანღება
და ქართული ფარის ფარზე დაჯახება!
უძველესმა ტომმა დღემდის მოიმღერა,
მწიფე პურის ყანა ქარში როგორ ღელავს,
სარკინეთში გრდემლზე როგორ სცემენ უროს
და ვარსკვლავი ზღვებზე როგორ მოგზაურობს,
ან მთვარიან ღამით ციხე-კოშკის ჩრდილში
რა ტკბილია ფარულ სიყვარულის შიში,
როცა კუდიანებს ლხინი გაუმართავთ
და სიზმრები როცა სთვლემენ სასთუმალთან...
საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ,
ხმათა ხავერდების და ღმერთების ენავ!

ო, ენავ ჩემო, ლღვრო ენავ...

სიყვარულს უშენებია

მარტყოფელ კაცს ტრაქტორი არ უყვარს, მაგრამ მის სოფელზე სიტყვა რომ ჩამოუგდო, სადაც უნდა გააჩარებოდეს, საუბარს გაგრძელებს, დაგარწმუნებს, რომ ქვეყნად ყველაზე ლამაზი სოფელი მარტყოფია, რომ ყველაზე გამრჯე ადამიანები ამ სოფელში ცხოვრობენ. გამომშვიდობებისას აუცილებლად შინაც მიგიპატიჟებს, ერთი ათჯერ მაინც გაგიმეორებს, შენი სტუმრობით ოჯახი გამიხარეო, მარტყოფული ღვინით მარტყოფი დამილოცე, საკუთარი თვალით ნახე, რანი ვიყავით და რანი ვართო...

აბა, ასეთ მიპატიჟებაზე უარს როგორ იტყვი. როგორ იქნება, გულღია მასპინძელს სტუმრობა დაამადლო და ერთ მშვენიერ დღეს, ყველა საქმისაგან მოცლილი, მარტყოფისაკენ მიმავალ გზას დაადგები. არც ინანებ. ძალზე ბევრს ნახავ, გული სიხარულით აგევსება. მარტყოფელთა სტუმარ-მასპინძლობით მოხიბლული აღიღინდები კიდეც.

რა კარგად უთქვამთ ჩვენს წინაპრებს — რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო.

სავსე ბეღლები

ძალზე დიდი სოფელია მარტყოფი, ისე დიდი, რომ სოფლად წოდება გეუხერხულება კიდეც. ყოველდღიურად 9 ათასი მარტყოფელი ეგებება მზის ამოსვლას.

თითქოს კალმით მოუხატავთო აქაურობა: მთის ძირში გაშლილ სოფელს სამი მხრიდან ტყით დაფარული მთები აკრავს, ერთი მხრიდან კი — ზვრებითა და ბაღებით დასერილი ველი. 3.500 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა აქვს სოფელს. ლილო-მარტყოფის არხი უხვად რწყავს მწვანედ აფეთქებულ მინდვრებს.

მარტყოფის საბჭოთა მეურნეობას იალაღზე 1900 ძროხა და 6 ათასამდე ცხვარი დაუდის. მარტყოფელ მშრომელთა განკარგულებაშია 45 ტრაქტორი, 34 სატვირთო ავტომანქანა, 10 კომბაინი. ისეთი მანქანებიც აქვთ, ასფალტს რომ აგებენ, არხებს რომ ჭრიან.

სადღაა ძველი ნამგალი და ცელი. ძროხას მანქანა წველის, ვენახს მანქანა წამლავს, პურს მანქანა თესავს, მანქანა იღებს და კალოზეც მანქანა ეზიდება. ამ მანქანების საჭეს მარტყოფელი კაცი უზის, გონიერი და გამოცდილი მეურნე. ამიტომაც არის, ყველაფერი რომ უხვად აქვთ.

მარტყოფის საბჭოთა მეურნეობა წელიწადის განმავლობაში 1.015 ტონა რძეს, 120 ტონა ხორცს, ათასობით ტონა პამიდორს, ბადრიჯანს, კომბოსტოს, ვაშლს, მსხალსა და ატამს აწვდის თბილისისა და რუსთავის მცხოვრებთ.

ვაზიც ნაქებია მარტყოფული. აქაურ ღვინოს ძნელად გამოუჩნდება მეტოქე.

ბევრი სახელოვანი ადამიანი ცხოვრობს მარტყოფში. ეგნატე ადიკაშვილსა და გაბრიელ ღუჭაშვილს მკერდზე ოქროს ვარსკვლავი უბრ-

ბევრს შეუნარჩუნებს ქართველობას...

ომის დამთავრებამ ქალაქ მონაკოს ჰოსპიტალში მომისწრო. თავდაპირველად შინისკენ ვაპირებდი წამოსვლას, მაგრამ, ხომ გაგიგონიათ, — კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო... გავიდა წლები და სამშობლოს მაგივრად ბუენოს-აირესში ამოვყავი თავი...

არ ვიცი, რატომ დაარქვეს ამ ქალაქს „ბუენოს აირესი“ — ქართულად „კეთილი ჰავა“. ამ უშველებელ ქალაქში ჰავა ძალზე ნესტიანია, ზაფხულობით სულისშემხუთავი სიცხე იცის. სასმელი წყალი მდინარე რიო დე პლატადან ამოაქვთ. ქიმეჩივით ეწოფები უგემური წყალს, მაგრამ წყურვილს ვერ იკლავ რა ხშირად მინატრია ჩვენი ნატახტარი...

გადიოდა წლები. სამშობლოზე სევდა გულს მიღრღნიდა. რა დაგმალოთ და, რამდენჯერმე თავის მოკვლაც განვიზრახე... მჭონდა ნათელი დღეებიც — იქაურ ქართველებთან შეხვედრა, თუმცა ამ სიხარულს დიდი ტკივილიც ახლდა...

მაგონდება ჩემი ცხოვრების ერთი epizodi.

1959 წელს არგენტინის ლატარიაში ფული მოვიგე. მაშინვე მოტოციკლი შევიძინე, რომ სამუშაოზე, რომელიც ქალაქის მეორე კუთხეში იყო, საკუთარი ტრანსპორტით მევლო.

ის-ის იყო ფეხბურთის სეზონიც გაიხსნა. მე ბუენოს-აირესის გუნდის „რივერ პლეიტის“ გულშემატკივარი ვიყავი. ამ გუნდში თამაშობდნენ საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელები— სივორი, ჯარისო და სხვები. მაისში „რივერ პლეიტი“ ლაპლატაში თამაშობდა. ეს ქალაქი ბუენოს-აირესიდან 90 კილომეტრზე მდებარეობს. თამაშზე ჩემი მოტოციკლით გავემგზავრე. დაბრუნებისას, ცოტა არ იყოს, შემცივდა და ქალაქ ლომას დე სამორაში გასათბობად ერთ კაფეში შევიარე. კაფედან 300 მეტრზე ლეო ჭეიშვილი ცხოვრობდა, მის გვერდით კი — მისი ქვისლი საშა ჭეიშვილი. გადავწყვიტე მენახა ისინი.

ათი წელი არ მენახა ლეოს ოჯახი. ამ ხანში მათ ორი ქალიშვილი და ვაჟი შეეძინათ. ბავშვების ნახვაც ძალზე მაინტერესებდა.

კარი 7-8 წლის გოგონამ გამიღო. ქართულად მივესალმე.

—მობრძანდით, ბატონო, დედა და მამა პაპასთან არიან, მალე დაბრუნდებიანო, — ქართულად მიმიპატიჟა პატარა მასპინძელმა. გადავწყვიტე, დავლოდებოდი უფროსებს. რამდენიმე წუთის შემდეგ გოგონამ ყავა მომიტანა.

— ბატონო, დაღლილი გამოიყურებით, მიირთვით, ძალას შეგმატებთ.

ფინჯანი მაგიდაზე დავდგი, ბავშვი გულში ჩავიკარი. ცრემლი წამსკდა. პატარამ თითქოს იგრძნო, რაც მატირებდა, თვალები ამომიწმინდა, მომეალერსა. ამან მეტი ცეცხლი მომაკიდა.

— ღმერთო, რა დავაშავე, სანამდე უნდა ვიყო ასე უბედური, ქართულ სიტყვასა და სტუმართმასპინძლობას მონატრებული? — ვეკითხებოდი ჩემ თავს.

მალე ოჯახის უფროსიც გამოჩნდა. თან სიმამრი — აკაკი პაპავა მოჰყვა. დიდი ხნის უნახავებმა ერთმანეთი მოვიკითხეთ.

— სადა ხარ, ბოშო, სად დაგვკარგე, — მისაყვედურა ლეომ. ხელში ქართული გაზეთები ეჭირა. მაგიდაზე დადო. ერთი გაზეთი მეც ავიღე, მაგრამ წაკითხვა ვერ შევძელი. ბევრი ასო დამვიწყებოდა. ისევ ბატონმა აკაკიმ მიშველა. იგი პოეტი იყო და ქართულ ენაზე დაწერილი რამდენიმე წიგნის ავტორი. თავისი წიგნებიდან ერთ-ერთი გადმომცა და მაჩუქა.

— იკითხე, ქართულ ანბანს მაინც გაიხსენებო, — მითხრა.

მალე ოჯახის ვაჟიშვილიც გამოჩნდა. რაღაც ესპანურად მიმხრა. მაგრამ მაშინვე დატუქსეს — ხომ იცი, სახლში მხოლოდ ქართულად ვლაპარაკობთო. ჩვენც ქართულად განვაგრძელეთ საუბარი. ჭაბუკიც „რივერ პლეიტის“ გულშემატკივარი აღმოჩნდა.

ანბანი რომ დამავიწყდა, ეს უკვე მოგახსენეთ. გაბმულმა საუბარმა მაგრძნობინა, რომ ლაპარაკიც მიჭირდა...

სავალალოა, მაგრამ მარტო მე როდი მჭირდა ეს უბედურება. საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს დედაენა თანდათან ავიწყდებათ. ენის შენარჩუნებას მეტნაკლებად იმ ოჯახში ახერხებენ, სადაც ოჯახის დედა ქართველია. ასეთი ოჯახი კი მთელს არგენტინაში თითებზე ჩამოსათვლელია.

კარგი, ძალზე კარგი საქმე წამოიწყო გაზეთმა „სამშობლომ“, უცხოეთში მცხოვრები ქართველებისათვის დედაენის სწავლების მისია რომ იკისრა. ჩემი აზრით, ეს ბევრ ჩვენებურს შეუნარჩუნებს ქართველობას.

1964 წელს ღმერთმა, ჩემი და ჩემი ოჯახის საბედნიეროდ, ილიკო სუბიშვილისა და ნინო რამიშვილის დასი მოავლინა ბუენოს-აირესში. მათთან საუბარში დავრწმუნდი, რომ სამშობლოში დაბრუნებით ხიფათი არ მელოდა. და აი, 1966 წლის თებერვალში ფეხი დავადგი მშობლიურ მიწას. სამშობლომ კეთილად მიმიღო. ჭერ იყო და, ჩემი სპეციალობით დავიწყე მუშაობა ქარხანაში, ახლა კი სასტუმრო „ივერიაში“ ბარმენი ვარ.

ხშირად ვითვლი ჩემი ბედნიერების წლებს — ასეთი ოთხია. დარწმუნებული ვარ, რომ ასევე ბედნიერებას მომიტანს მეხუთე, მეექვსე და საერთოდ ყოველი წელიწადი, რომელსაც აქ, ჩემ საქართველოში გავატარებ.

ზოთა თარხნიშვილი

სურათზე: ზოთა თარხნიშვილი — ბარმენი.

მიხეილ კვირიკაშვილის ფოტო



„მარტყოფო, დიდო სოფელო,
ალიხეო და ტევალო,
შეკრულო ყურძნის მტევანო“...


ხალხური


„ლილოს მთისა და კუხეთის მთის შორის არს მარტყოფი. გამოსდის წყალი შინი ამასვე მთას... ხევსა ზედა არს სამხრით ეკლესია ღვთაებისა, გუმბათიანი, ოდენ შენი, გარ ზღუდე-გოდლოსანი, მსგავსი ციხისა, კეთილს მშვენიერს ადგილს. ეს დაადგრა ცამეტი მამათაგანი ანტონი და ჰყო მონასტრად ესე, ხოლო, თვით ფერად განშორებით ქვაბსა შინა მყოფობდა მარტოდ და მით ეწოდა ადგილსა მას მარტომყოფი და აწ მარტყოფი...


აქუსცა დროშა სასასპეტო; და არიან ამის სასასპეტოსანი გარეთ-კახეთი ქიზიყამდე და მარტყოფ-საგურამო და არს მემარცხენე ბრძოლისა.

არს ესე მარტყოფი ვენახოვანი, ხილიანი და ყოვლითა, ვითარცა საგურამო, ვითა მშვენი“.

ვახუშტი







სურათებზე (ზევიდან ქვევით):

● გამრჯე კაცად იცნობენ მარტყოფში ნიკოლოზ ფურცელაძეს. კარმიდამოც საკადრისი აქვს.

● 70 უმოდგომას შეხვდა იაკობ ზაზუნიშვილი. ახლაც რთველისათვის ემზადება.

● წყალუხვია სამგორის არხი, მარტყოფის ველ-მინდვრებს რომ ჩამოუდის.

● მარტყოფის სკოლამ ბევრი ღირსეული ადამიანი აღუზარდა სამშობლოს.

შოთა ჩხეტიანის ფოტო



მარტყოფი — დიდი სოფელი

ნავთ. ყურძნის მოყვანის ოდენ ოსტატებს მთელ საბჭოთა კავშირში იცნობენ. გაოდენ ადამიანებად იწოდებან მიხეილ სამჭკუაშვილი, ნია მათიაშვილი, ილინე შაყმაშვილი, ანა კავთუაშვილი, თამარ ძამაშვილი, მაამ ტაბლიაშვილი, ეთერ ტიკაშვილი, ვასილ სტეანიშვილი და სხვები.

იმთავითვე ასე მოდის: არტყოფელი კაცი შრომაში ულობს სიხარულს. რა სი ბრალი იყო, თუ ადრე ის საშუალებას ყოველთვის ძლევდნენ. ახლა საითნაც უნდა გაიხედო, ყველან შრომის ფერხულია. ამიანთა ომახიან მოძაეს მანქანების გუგუნი

ლი, მეცნიერები აკაკი მათიაშვილი, ქიტესა ფურცელაძე, აკაკი ივანაშვილი, უშანგი სახლთხუციშვილი, შალვა ჭეიშვილი...

თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში ამჟამად ასამდე მარტყოფელი სწავლობს. ყველა წარჩინებულ სტუდენტად ითვლება, ეს გასაგებიც არის. პედაგოგები ელენე სამჭკუაშვილი, ეკატერინე ეპიტაშვილი, მანია სამჭკუაშვილი და სხვები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა ერს შესანიშნავი ადამიანები აღუზარდონ. სოფელში არც მეტი, არც ნაკლები — 100 პედაგოგია.

საშუალო და დაწყებითი სკოლების გარდა, მარტყოფში ტექნიკუმიც არის. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის მარტყოფის ტექნიკუმში აღზრდილ სპეციალისტებს საქართველოს ყველა კუთხეში შეხვდებით. სასწავლებელში ერთდროულად 400 ახალგაზრდა სწავლობს.

მარტყოფის მშრომელთა ჯანმრთელობას ფხიზლად სდარაჯობს სოფლის საავადმყოფო, 10 ექიმი და 20 ექთანი.

მადლიერი არიან თვთრხალათიანი ადამიანებისა მარტყოფელები. განსაკუთრებით მაშინ აქებენ მკურნალს, ბიჭის გაჩენას რომ ახარებს სოფელს. ექიმის სიტყვა, ბიჭიაო, ბანიდან ბანზე გადადის, გადაძახილს თოფის ქუხილიც უერთდება. სიხარულით ცას ეწევიან — მარტყოფს კიდევ ერთი ვაჟკაცი შეემატაო.

ქუდზე კაცი

ასე დამკვიდრდა: თამადა პირველი ჭიქით მშვიდობის სადღეგრძელოს სვამს. გასაგებიც არის: მარტყოფელმა იცის მშვიდობის ფასი. ვინ მოთვლის, რამდენჯერ შეხვედრია ხმალამოწვდილი კარზე მომხტარ მტერს მარტყოფის სადროშო, რამდენი სისხლი დაუღვრიათ, რომ ქვეყნად მშვიდობა ყოფილიყო...

ქუდზე კაციო, დაიძახებდნენ და ფეხზე იდგა მთელი სოფელი. ასე იყო წინათ. ასე იყო მაშინაც, ფაშისტები რომ შემოესივნენ ჩვენს სამშობლოს. ორი ათასმა მარტყოფელმა ჩაიცვა ჯარისკაცის ფარაჯა, ზურგი არავის უჩვენებია მტრისათვის. ათასი მარტყოფელი დედა შეიმოსა შავით. მეორე ათასი კი შინ გამარჯვებული დაბრუნდა.

სოფლის თავში ერთი უზარმაზარი კაკალია. 900 წლისააო, ამბობენ მარტყოფლები. ხშირად იყრიან თავს ახალგაზრდები ამ კაკლის ქვეშ. უფროსებიც მოდიან. მრავლის მომსწრე და მნახველი კაკალი ახლა სამამულო ომის მონაწილეთა ნაამბობს ისმენს, გებულობს, როგორ ებრძოდნენ მტერს ალექსი მათიაშვილი, ანტონ ტაბლიაშვილი, შალვა გუგუნაშვილი, გიგა ნაირაშვილი..

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ცხრა საუკუნის თანატოლ ხესთან მარტო ომზე ჰყვებოდნენ. აქ სიმღერა და ცეკვა-თამაშიც ხშირად იმართება. დაუღამდებათ და ახლა სოფლის კლუბს მიაშურებენ. კლუბი კი იმოდენაა, თუ საჭირო გახდა, სოფლის ნახევარს დაიტევს. ერთ დღეს კინოს რომ აჩვენებენ, მეორე დღეს სოფლის მოცეკვავეები და მომღერლები მართავენ კონცერტს. უქმე დღე ისე როგორ გათავდება, მარტყოფელებმა ერთმანეთს მკლავი არ მოუსინჯონ. ალიხეველებს ტევალელი იწვევს საჭიდაოდ, ქვემოუბნელებსაც თავიანთი ფალავნები გამოჰყავთ. მსაჯი კი, რა თქმა უნდა, წარსულში ჩვენი ქვეყნის მრავალჯერ ჩემპიონი, სახელგანთქმული მოჭიდავე ოთარ სინჯიკაშვილია.

რანი ვართ ახლაო

წელგამართულად, ბედნიერად ცხოვრობენ მარტყოფლები. უფრო ძვირ სიკეთეს მოუტანს მათ ხვალინდელი დღე. მართალია, სოფელი სასმელი წყლით უზრუნველყოფილია, მაგრამ სულ მალე მარტყოფელთა განკარგულებაში იქნება ახალი წყალსადენი, რომლის საერთო სიგრძე 100 კილომეტრია. არსებულ 7 მაღაზიას კიდევ ერთი დაემატება. გადიდდება სადალაქოების, რადიომიმღებებისა და ტელევიზიის შემკეთებელი სახელოსნოების რაოდენობაც.

ყოველწლიურად 70-80 ახალი ორსართულიანი სახლი ემატება მარტყოფს. ეს ერთი და სხვა ათასი! — ამ სიტყვებით უყრიან მშენებლები საძირკველს ყველა სახლს...

სახლს სახლი ემატება, გზას — გზა, ხიდს — ხიდი, არხს — არხი. შენდება, მშვენდება მარტყოფი. წარსულის ავბედითობამ ვერ გატეხა სოფელი, წელთა სიმძიმემ ვერც ცხრაასი წლის კაკალი ამოძირკვა. ყოველ გაზაფხულს იფოთლება და საუკუნეების მიღმიდან მოსული ხმით გვეჩურჩულება: ნახეთ, რანი ვიყავით და რანი ვართ ახლაო...

რეზო მაჭავარიანი


შენ გიგალობ, პატარავ...

ჩვენო პატარა მკითხველებო! დღეიდან გაზეთ „სამოგზაუროს“ ფურცლებზე, თქვენთვის განკუთვნილ კუთხეში, ხშირად ნახავთ საყვარელი პოეტებისა და მწერლების ლექსებს, მოთხრობებს, ზღაპრებს. აქვე იქნება გამოცანები, იგავ-არაკები, ნახატი-ხუმრობები და მრავალი, მრავალი სხვა, რაც ასე გიტაცებთ და გაინტერესებთ.

დღეს გთავაზობთ პოეტ ილია სიხარულიძის რამდენიმე ლექსს.

ძია ილიას, რომელსაც ამ დღეებში დაბადების 80 წელი შეუსრულდა, თქვენ ძალზე უყვარხართ — ჩვენს ფიქრსა და ოცნებაში დღედაღამე ნატარებოო — ასე მოგმართავდათ იგი თქვენ.

ლექსები, რომლებსაც დღეს ვაქვეყნებთ, ვიცით გევრ სიამოვნებას მოგანიჭებთ. კარგი იქნება, თუ ზეპირადაც შეისწავლით. ამით კატივს სცემთ თქვენს სიყვარულში დაფერფლილი პოეტის ხსოვნას.



აიწონა-დაიწონა

აგერ ჯირკი, ზედ — ფიცარი,
აქეთ — ვანო, იქით — ნონა;
დასკუპდნენ და ააქანეს,
აიწონა-დაიწონა!
ერთი, ორი, ერთი, ორი!
აღმა — ვანო, დაღმა — ნონა!
ადიან და ჩამოდიან,
აიწონა, დაიწონა!
რა კარგია ასე ფრენა,
დახეთ, ცელქებს მოეწონათ:
ადიან და ჩამოდიან,
აიწონა, დაიწონა!
ერთი, ორი, ერთი, ორი!
აღმა — ვანო, დაღმა — ნონა!
ადიან და ჩამოდიან,
აიწონა, დაიწონა!



ჰა, მურია, მურია

ჰა, მურია, მურია,
ნუ ხარ უმადურია,
მოდი, გაგვეთამაშე,
ხომ გაჭამეს პურია!

ჰა, მურია, მურია,
აგიწიო ყურია?!
ფისოს რატომ წაართვი
ერთი ლუკმა პურია?

რა კარგია შემოდგომა

რა კარგია შემოდგომა,
რა კარგია რთველი...
ჩვენ ყოველთვის რთველის მოსვლას
სიხარულით ველით.
რა კარგია ფელამუში,
რა მსუყე და ტკბილი,
ამოვავლეთ ჩურჩხელები
ნიგვზისა და თხილის.

ჩემი ქოჩორა

მიყვარს ჩემი ქოჩორა,
კვერცხს რომ დადებს, კაკანებს;
მისკენ ქორს და მელიას,
როგორ გავაჭაჭანებ!



ახალი სეზონის პოლოდინში

ჩვენი დედაქალაქის თეატრის მოყვარულები ახალი სეზონის მოლოდინში არიან. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა უკვე მიიღო პირველი მაყურებელი. რამდენსამე დღეში ფარდა აიხდება ზ.ჭავჭავაძის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრსა და მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

რას გვპირდებიან შემოქმედებითი კოლექტივები?

სიტყვას ვაძლევთ ამ თეატრების დირექტორებსა და სამხატვრო ხელმძღვანელთ.

დიმიტრი მჭედლიძე

თბილისის ოპერის თეატრი თავის 119-ე სეზონს უკვდავი „აბესალომ და ეთერის“ ახალი დადგმით იწყებს. რეპერტუარში გვაქვს ბევრი ახალი ნაწარმოები. შევინარჩუნეთ შარშანდელი სეზონის რამდენიმე საუკეთესო სპექტაკლიც.

განსაკუთრებული ყურადღება მინდა გავამახვილო ფაქტზე, რომელსაც დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს. ეს არის ოპერის ფილიალის გახსნა ქუთაისში, რომელიც ოდითგანვე წარმოადგენდა მუსიკალური კადრების აღზრდის მნიშვნელოვან კერას. საკმარისია აღინიშნოს, რომ აქ ეზიარნენ პირველ მუსიკალურ განათლებას ზაქარია ფალიაშვილი და მელიტონ ბალანჩივაძე.

ახლა ვეღარც კი იცნობთ შენობას, სადაც ოდესღაც ნუცა ჩხეიძე და ლადო მესხიშვილი გამოდიოდნენ. მან მთლიანად იცვალა სახე, გამშვენიერდა.

სექტემბრის ბოლოს ქუთაისელი მაყურებელი ნახავს და მოისმენს „აბესალომ და ეთერს“, ხოლო შემდეგ აჩვენებენ მელიტონ ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერს“, ოთარ თაქთაქიშვილის „მინდიას“, ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტეს“, ვანო გოკიელის საბავშვო ოპერა „წითელქუდას“, ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინს“, რუბინშტეინის „დემონს“. დაიდგმება ორი საბალეტო სპექტაკლიც.

ხელოვნების ეს დიდი ტაძარი ბევრ სიხარულს ჰპირდება დასავლეთ საქართველოს მშრომელებს.

სერგო ზაქარიაძე

რუსთაველის სახელობის თეატრის თითოეულ დადგმას განსაკუთრებულ მოთხოვნას უყენებს მაყურებელი. ეს გასაგებიც არის. ისეთი მდიდარი თეატრალური ტრადიციები, როგორიც ჩვენს თეატრს აქვს, ძალზე ბევრს გვავალებს.

წლეულსაც დიდი ყურადღებით მოვეკიდეთ რეპერტუარს. ამ სეზონში წამყვანი ადგილი ქართულ დრამატურგიას დავუთმეთ.

სეზონი გავხსენით შარშანდელი ბოლო პრემიერით — ოტია იოსელიანის პიესით „სანამ ურემი გადაბრუნდება“. ვდგამთ დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალს“, ლევან გოთუას ისტორიულ ქრონიკას „გმირთა ვარამს“, მერაბ ელიოზიშვილის პიესას „დათვებს“, ნოდარ მალაზონიას გროტესკს „შაბათი და კვირა“.

ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“ ამავე სახელწოდების ცნობილი რომანის ქარგაზეა დაწერილი, მხოლოდ ეს არის დამოუკიდებელი პიესა და არა ინსცენირება. მასში წინა პლანზეა წამოწეული პატრიოტული მოტივები. წარმოდგენა გაგრძელდება ორ სალამოს.

დავით კლდიაშვილის ნაწარმოების განხორციელებისას თეატრმა მიზნად დაისახა მაყურებლამდე სრულად მიიტანოს ის დიდი ჰუმანიზმი, რომელიც ახასიათებს ამ შესანიშნავ ქართველ მწერალს. ჩვენ გადავწყვიტეთ, არ დავკარგოთ მწერლის არც ერთი სიტყვა და არც არაფერი დავუმატოთ. ამიტომ უარი ვთქვით მოთხრობის პიესად გადაკეთებაზე და ნაწარმოებს თავისი პირველსახე შევუნარჩუნეთ.

ნოდარ მალაზონიას პიესაში „შაბათი და კვირა“ მწვავედ არის გამახვილებული მეშჩანობა. ნაწარმოებმა მაყურებელი უნდა გააცინოს, მაგრამ შეაშფოთოს კიდეც. სწორედ ეს არის ამ გროტესკის მოქალაქეობრივი პათოსი. დრამატულად და რეჟისორულად პიესა თეატრის ექსპერიმენტია. გაგვიმართლებს თუ არა მოლოდინს, ამაზე პასუხს მაყურებლისაგან მოველით.

თეატრმა არც პატარები დაივიწყა. მათთვის იდგმება არჩილ სულაკაურის პოეტური ზღაპარი „სალამურა“. ვფიქრობთ, იგი მოზრდილებსაც დაინტერესებს.

ამის გარდა, ჩვენთვის წერენ პიესებს ქართველი მწერლები. სარეპერტუარო პორტფელში გვაქვს აგრეთვე ბევრი საინტერესო პიესა რუსული და ევროპული კლასიკიდან.

ანზორ ქუთათელაძე

ჩვენი თეატრი ამ ზაფხულს ერთთვიან საგასტროლო მოგზაურობაში იმყოფებოდა. რეპერტუარში გვქონდა აკაკი გეწაძის გახმაურებული პიესა „წმინდანები ჯოჯოხეთში“.

გასტროლების პარალელურად თეატრი იმ ახალ დადგმებზე მუშაობდა, რომელსაც წლეულს, ჩვენს 42-ე სეზონში ვუჩვენებთ მაყურებელს. გიორგი ჩარკვიანისა და რევაზ გაბრიაძის „ფეოლას“ ამზადებს რეჟისორი მედეა კუჭუხიძე. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე მუშაობს ამერიკული დრამატურგი ჭალის ვინა დელმარის პიესის — „დაუთმე ადგილი ხვალინდელ დღეს“ — განხორციელებაზე.

რეჟისორი ალექსანდრე მრევლიშვილი მაყურებელთა სამსჯავროზე გამოიტანს ჰაშეკის „ყოჩაღ ჯარისკაც შვეიკს“. ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლისა“ და „ალუდა ქეთელაურის“ სცენური ხორცშესხმა გადაწყვიტა რეჟისორმა რევაზ მირცხულავამ.

თეატრი აღადგენს თავის საუკეთესო სპექტაკლს — „კაცია ადამიანი?!“. მაყურებელს ვუჩვენებთ ანტონ ჩეხოვის „თოლიას“, ევრიპიდეს „ელექტრას“. რეპერტუარში გვაქვს სულიკო ჟღენტის „დედის ფიქრები“. მან პირველი პრემია დაიმსახურა კინოსცენარისტთა საკავშირო კონკურსზე.

ახალ სეზონს „ვოდევილების სალამოს“ ჩვენებით დავიწყებთ.



სცენა რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლიდან „ბებერი მეზურნეები“.
თედო — რამაზ ჩხიკვაძე, გუთხუზა — კარლო საკანდელიძე, სოსა — გუხუტი ზაქარიაძე.

სპორტი

ჭადრაკი იანვრიდან... იანვრამდე!

ხშირად გახსოვთ, ქართველ ქალს ბაზითად „ვეფხისტყაოსანთან“ ერთად ჭადრაკსაც ატანდნენ! ამ მშვენიერი ტრადიციის თავისებური გამოძახილი გახლდათ ნონა გაფრინდაშვილის არნახული ტრიუმფი არა მარტო ქალთა შეჯიბრებებში, არამედ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებშიც.

ბედნიერება მჭონდა დავსწრებოდი ნონას სამსავე მატჩს მსოფლიო პირველობაზე. ამ შეჯიბრებათა მსვლელობას რომ ვადევნებდი თვალყურს, ერთი ბერლინელი ჟურნალისტის ხუმრობა მაგონდებოდა. ეს ჟურნალისტი პარიზში ესწრებოდა ლასკერ-იანოვსკის პაექრობას მსოფლიო პირველობაზე და თავის რედაქციას ატყობინებდა: „მატჩი მეტად მრავალფეროვნად მიმდინარეობს. ხან ლასკერი იგებს, ხან იანოვსკი... აგებს!“

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ ბიჭოვა და კუშნირი მისთვის ძლიერი მეტოქეები არ არიან. ამას ნეტაყველებს არა მარტო მატჩების ანგარიში, არამედ მეტოქეთა თამაშის გარჩევაც. მართლაცდა, როგორი განსხვავებაა საჭადრაკო ოსტატობის თვალსაზრისით!

მაგრამ როგორიც უნდა იყოს ნონას წარმატება. იგი მაინც ვერ მიეცემა განცხრომას. წინ მრავალი პასუხსაგები შეჯიბრებაა. ლუბლინში (პოლონეთი) დაიწყო ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადა. შეჯიბრების დებულება ისეთია, რომ ბრძოლა მალე უნდა გამწვავდეს. თითოეულ გუნდში სულ ორი დაფაა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთი პარტიის წაგება მატჩის ბედს საფრთხეს უქმნის.

ნონას მეტად ძლიერი და გამოცდილი მეტოქეები ჰყავს. ესენი არიან რუმინეთის ჩემპიონი ალექსანდრა ნიკოლაუ, შესანიშნავი იუგოსლაველი ოსტატი მილუნკა ლაზარევიჩ-მარკოვიჩი, ჰოლანდიელი ფანი ჰეემსკერკი, ამერიკელი გიზელა გრესერი. ეს ასეა, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ნონა უკეთ თამაშობს, რაც უფრო ძლიერი მეტოქეები ჰყავს. ეს მარტო ქალთა შეჯიბრებებს როდი ეხება. ჰასტინგსის ერთ-ერთ საახალწლო ტურნირში განთქმულ დიდოსტატ პაულ კერესს აუცილებლად უნდა მოეგო ნონასთვის, რომ მისი მეტოქე სვეტოზარ გლიგორიჩისათვის გაეხწრო. უნდა მოეგო, მაგრამ ვერ მოუგო! ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო და, ბოლოს, თვით კერესის წინადადებით ყაიმით დასრულდა.

როცა თვალყურს ადევნებ ნანა ალექსანდრიას უაღრესად ეფექტურ და შემტევ თამაშს, ძნელია დაიჯერო, რომ ამ დიდებულ ოსტატს ჯერ 20 წელიც არ შესრულებია. ასეთ ასაკში ნანა უკვე ორჯერ იყო სსრ კავშირის ჩემპიონი, თბილისისა და ბელგრადის დიდი საერთაშორისო ტურნირების ტრიუმფატორი. მაგრამ ყველაზე ძნელი გამოცდა ნანას ახლა მოელის. იგი ნონას უმშვენებს მხარს ლუბლინის საერთაშორისო ოლიმპიადაზე. ასეთ შეჯიბრებაში კი მას ჯერ მონაწილეობა არ მიუღია. გაიგლის სულ რამდენიმე დღე და საქართველოში დაიწყება ქალთა საკავშირო ჩემპიონატი, ეს რიგითი შეჯიბრება როდი გახლავთ. სამი გამარჯვებული ბრძოლას გაუნაგრძობს მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირში. ახლა ეს ტურნირი ნანასა და მისი მწვრთნელის — ბუხუტი გურგენიძის მთავარი საზრუნავია. ნანა ჩინებულად მოემზადა და, უდავოა, მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტთა ასპარეზობაში წარმატებით გამოსვლის კარგი შესაძლებლობა აქვს. ახალი დებულებით მსოფლიოს ჩემპიონს ოთხი ოფიციალური მეტოქე ეყოლება. ერთი მთგანი ისევ ალა კუშნირი გახლავთ, დანარჩენი სამი გაისად, წელიწადის პირველ ნახევარში გამოვლინდება. 1971 წლის იანვრი-



თინა პირველია

● ბუქარესტში სოციალისტური ქვეყნების „დინამოს“ მოცურავეთა ტრადიციულ საერთაშორისო ასპარეზობაზე წარმატებით გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი თინა ლეკვეიშვილი.

100 მეტრზე გულაღმა ცურვაში თინამ ყველა მეტოქე დაჯაბნა და პირველი ადგილი მოიპოვა.

პირველი ქულა

● გუშინწინ, 10 სექტემბერს ქალაქ ბელფასტში ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები მსოფლიო პირველობის შესარჩევ შეხვედრაში საბჭოთა ფეხბურთელებს მასპინძლობდა.

თამაში თავიდანვე დაძაბულად, მაღალ ტემპში წარიმართა. მასპინძლები ბოლომდე ინარჩუნებდნენ უპირატესობას, მაგრამ კარის აღება მაინც ვერ შესძლეს — 0:0.

საბჭოთა ნაკრების წევრებიდან მეტად საპასუხისმგებლო მოვალეობა ეკისრებოდა თბილისელ რეზო ჭოქუაშვილს: მას უნდა ჩაეკეტა პოპულარული თავდამსხმელი ბესტი. რეზომ ეს ამოცანა კარგად შეასრულა.



ფეხბურთი

„ლოკომოტივი“ წინ მიიწევს

● დაძაბულად მიმდინარეობს პირველობისათვის ბრძოლა „ა“ კლასის მეორე ლიგის მეოთხე ჯგუფში. 21 კოლექტივიდან, რომლებიც აქ გამოდიან ფაქტიურად მხოლოდ ორ გუნდს აქვს უმაღლეს ლიგაში გადასვლის შესაძლებლობა. ესენი არიან — თბილისის „ლოკომოტივი“ და ვილნიუსის „ჟალგირისი“. დღეისათვის ვილნიუსელებს 32 თამაშიდან 43 ქულა აქვთ, ხოლო „ლოკომოტივს“ — 42 ქულა.

გთავაზობთ „ა“ კლასის მეორე ლიგის მეოთხე ჯგუფის სატურნირო ცხრილს.

„დინამოს“ ორი გამარჯვება

● გასულ პერიოდში საქართველოს უმაღლესი ლიგის ფეხბურთელებმა საბჭოთა კავშირის პირველობაზე რამდენიმე მატჩი გამართეს.

ერთგვარად გამოასწორა თავისი სატურნირო მდგომარეობა თბილისის „დინამომ“. მან ორი გამარჯვებით (დინამოელებმა ლუგანსკში ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ადგილობრივი „ზარია“, ხოლო თბილისში — როსტოვის არმიელები 2:1), გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა და მესამე ადგილის მოპოვების კარგი შესაძლებლობა აქვს. ჭუთაისის „ტორპედო“ რამდენიმე დამარცხებამ ბოლოსწინა, მეცამეტე ადგილზე დაამკვიდრა.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 სექტემბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	32	18	7	7	36—16	43
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	32	17	8	7	39—21	42
„შახტიორი“ (ყარაგანდა)	32	15	9	8	39—20	39
„მოლდოვა“ (კიშინიოვი)	32	12	11	9	33—18	35
„ალგა“ (ფრუნზე)	32	11	13	8	19—15	35
„ენერგეტიკი“ (დუშანბე)	30	10	14	6	29—24	34
„დაუგავა“ (რიგა)	32	8	17	7	31—26	33
„დინამო“ (ბათუმი)	31	10	12	9	28— 7	32
„ნეფტიანიკი“ (ფერგანა)	31	12	8	11	29—37	32
„სტროიტელი“ (აშხაბადი)	30	11	9	10	34—27	31
„ნემანი“ (გროდნო)	32	6	19	7	22—21	31
„პოლიტოტდელი“ (ტაშკ. ოლქი)	32	9	13	10	25—29	31
„დინამო“ (კიროვაბადი)	31	9	12	10	25—29	30
„ზერავშანი“(ნავოი)	31	11	7	13	28—34	29
„სპარტაკი“ (ბრესტი)	31	9	10	12	23—22	28
„მეშახტე“ (ტყიბული)	31	11	6	14	24—32	28
„ვოსტოკი“ (უსტ-კამენოგორსკი)	31	8	11	12	25—28	27
„მეტალურგი“ (ჩიმკენტი)	31	9	9	13	25—29	27
„შირაკი“ (ლენინაკანი)	31	8	10	13	25—44	26
„ფოლადი“ (სუმგაითი)	31	5	15	11	23—31	25
„პამირი“ (ლენინაბადი)	31	6	8	17	22—50	20

მწვერვალთა დამპყრობნი

საქართველოს ალპური კლუბის მთამსვლელთა ჯგუფი შოთა მირიანაშვილის, გიორგი აბაშიძის, დიმიტრი დანგაძისა და ოთარ ხაზარაძის შემადგენლობით მონაწილეობს საბჭოთა კავშირის პირველობაში სიძნელის უმაღლესი კატეგორიის მწვერვალებზე ტექნიკური ასვლის კლასში.

ექვს დღეს უტევდა ჯგუფი ცენტრალური კავკასიონის ერთერთ უმაღლეს მწვერვალს — შხარას ორკილომეტრიანი მიუდგომელი სამხრეთი კედლიდან. მარშრუტი მამაცებს დაემორჩილა. ჯგუფი მშვიდობით დაბრუნდა მოლაშქრეთა ბანაკში სოფელ უშხვანარში.

სტუმრები ავსტრიიდან

● საქართველოს სპორტული საზოგადოება სამ დღეს მასპინძლობდა ავსტრიის მუშათა სპორტული კავშირის დელეგაციას, რომელსაც ამ კავშირის პრეზიდენტი ჰელერი მეთაურობდა. სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის სპორტული ბაზები, იყვნენ რუსთავში, გაეცნენ ქართველ მეტალურგთა სპორტულ ცხოვრებას.

საქართველოში მოგზაურობა ავსტრიელმა სტუმრებმა მცხეთისა და გორის დათვალიერებით დაამთავრეს.

ქეთილი ხსოვნა დატოვა

ნავიდა ჩვენგან ადამიანი, რომლის ცხოვრება განუყრელად იყო დაკავშირებული ქართული საბჭოთა სპორტის პირველ ნაბიჯებთან. გარდაიცვალა საქართველოს სსრ კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე ბიორბი (გულო) ვასილის ძე რცხილაძე.

სამჯერ — 1932, 1933 და 1934 წლებში გიორგი რცხილაძემ მოიპოვა საბჭოთა კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება ტანვარჯიშში. ამ შესანიშნავი სპორტსმენის ოსტატობას მოუხიბლავს ანტვერპენისა და პარიზის სპორტის მოყვარულნი. შესანიშნავი სპორტსმენი შესანიშნავი აღმზრდელიც იყო. მან განვლო ლამაზი გზა სკოლის ფიზკულტურის მასწავლებლიდან თბილისის სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელამდე. სადაც მუშაობდა, უველგან კეთილი ხსოვნა დატოვა.

თეთრები იწყებენ და იგებენ

1. ♘d7 — a4 მე3 — g4!! პარადოქსული სვლაა. იმის ნაცვლად, რომ შაქებმა მხედარი გადაიყვანონ აქტიურ მდგომარეობაში, აკეთებენ „აბსურდულ“ სვლას. თუ 1. ...მc4?, მაშინ 2. a6 მb6 3. ♘b3+მფe7 4. a7 მფd6 5. მფb7 მფc5 6. e5 მოგებით 2. ♘a4 — d1!!...

ერთი შეხედვით, ბუნებრივ სვლას მივყავართ ყაიმისაკენ: 2 a6? მფg6, 3. a7, მფh5 4 a8ლ g6 5. ლd5 d1ლ 6. ♘(ლ):d1 პატ. აი სად გაიხსნა შაქების პირველი სვლის საიდუმლოება. 2 ...მg4 — f2

უარესია 2...მe3 3. ♘e2 გამო. 3. ♘d1 — b3+...

თეთრებმა დაამთავრეს a — ხაზის გახსნის ოპერაცია, რომელიც წარმოადგენს ეტიუდის ერთ-ერთ მთავარ მომენტს. თუ 3 ♘c2?, მაშინ 3.... მd3 4. მფc7 მფe7 და ყაიმია.

3. ...მფf7 — g6!

შავი მეფე საპატო თავშესაფარისკენ მიიწევს.

4. a5 — a6!...

ცუდია 4. g4? მd 3! (და არა 4... მe4 5. a6, მc5 6 ♘c2+ და 7a7 მოგებით) და ყაიმია.

4. ...მf2 — g4

5. a6 — a7 მფg6 — h5

6. a7 — a8ლ!...

ამ სვლით თეთრებმა დაანგრიეს შაქების საპატო თავშესაფარი. თუ 6. a8ლ? მაშინ 6 ...g6, 7...d1ლ და 8. ♘:d1 შემდეგ შაქებს პატი აქვთ.

6 .....g7 — g6

7 ეa8 — a1 ....

ეს რისთვის იყო საჭირო შავის გახსნა

7. ....d2 — d1 ლ

8 ga1:d1 და იგებენ.

მოგზაურობით, გელით!

ᲛᲨᲕᲘᲐᲗᲐᲓ თუ შეხვდებით ბუნების ისეთ მრავალფეროვნებას, როგორიც საქართველოშია. აქ ერთმანეთს ცვლიან სუბტროპიკები და ალპური საძოვრები, ზურმუხტოვანი ზღვის სანაპირო და თოვლით შემოსილი „მთანი მაღალნი“, განუმეორებელი სილამაზის უღელტეხილები და მდინარეებით დახრამული ხეობები...

ყოველივე ამას თუ დავუმატებთ ისტორიულ და ხუროთმოძღვრების დიდებულ ძეგლებს, ფართოდ გაშლილ მშენებლობებს, და, რაც მთავარია, ეგზოტიკურ, გულღია, სტუმართმოყვარე ქართველ ხალხს, ნათელი გახდება, რატომ მოისწრაფის ჩვენში მრავალრიცხოვანი საბჭოთა და უცხოელი ტურისტი.

დიახ, დღეს საქართველო ტურიზმის ქვეყანაა.

სასურველ სტუმრებს გულღიად ხვდება საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭო. მის სისტემაში შემავალი 35 ტურისტული ბაზა და ღამისსათევი ერთდროულად 8 ათას კაცს მასპინძლობს, სამოგზაურო-საექსკურსიო ბიუროები ყოველწლიურად ½ მილიონზე მეტ ტურისტს ემსახურებიან.

ტურისტების განკარგულებაშია კომფორტული საძილე კორპუსები, სასადილოები და ბარები, კლუბები და ესტრადები, სპორტული და საცეკვაო მოედნები, ბიბლიოთეკები...

საქართველოში დღეს საკავშირო მნიშვნელობის ორმოცდაოთხი ტურისტული მარშრუტი გადის.

დიდი პოპულარობით სარგებლობს მარშრუტი „საქართველოს სამხედრო გზა“. მოგზაურობა ორკონიკიძეში იწყება. თერგისა და დარიალის კლდოვანი ხეობის გავლით ტურისტები იმავე დღეს ყაზბეგში ამოდიან. აქ სამ დღეს ისვენებენ, ათვალიერებენ ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმს, ადიან გერგეტის მყინვარზე, შემდეგ კვრის ულელტეხილით არაგვის ხეობას დაუყვებიან და ფასანაურს ეწვევიან.

კვლავ გზა... არაგვის ერისთავების საგვარეულო ციხე-სიმაგრე ანანური, იბერიის უძველესი სატახტო ქალაქი მცხეთა. აქ სტუმრები ჩვენი სამშობლოს მონუმენტური ხელოვნების იშვიათ ძეგლებს — ჯვრის, სამთავროს, სვეტიცხოვლის მონასტრებს და არმაზისხევის, ბაგინეთისა და სამთავროს არქეოლოგიურ გათხრებს ეცნობიან.

წინ საქართველოს დედაქალაქი თბილისია. მეტეხი და ნარიყალა, ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონი, ფართო გამზირები და ქუჩები, კოპწია პარკები და სკვერები, მეტროპოლიტენი, თეატრები, მუზეუმები, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა, თბილისის ზღვა და გოგირდის აბანოები ჩამოსულებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ.

მოგზაურობის უკანასკნელი პუნქტია ბათუმი და მწვანე კონცხი.


არანაკლებ პოპულარულია ტურისტული მარშრუტი „რუსთაველის ნაკვალევზე“. იგი იწყება თბილისში, შემდეგ კი — თელავი და ალავერდი, გრემი და შუამთა; იყალთოს აკადემია, სადაც შოთას უსწავლია. აქედან ტურისტები რუსთავის, მცხეთისა და გორის გავლით სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოსაკენ მიემართებიან. რა სჭირია ზაფხულის პაპანაქებაში ბორჯომის ხეობაში დასვენებას, მინერალური წყლით გაგრილებას!

მარშრუტი ითვალისწინებს უკვდავი შოთას მშობლიურ მესხეთში, კერძოდ, სოფელ რუსთავში სტუმრობას, ვარძიის უნიკალური გამოქვაბულებისა და ხერთვისის ციხე-სიმაგრის დათვალიერებას, სამთო-კლიმატურ კურორტ ბაკურიანში ასვლას, ქუთაისისა და გელათის მონასტერ-აკადემიის არქიტექტურული ანსამბლის გაცნობას და, ბოლოს, ხანგრძლივ დასვენებას საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე.

ბევრი კეთდება საქართველოში ტურიზმის შემდგომი განვითარებისათვის. გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტია, ახლო მომავალში მწყობრში ჩადგება ახალი კომფორტული ტურისტული ბაზები სვანეთში, ფშავ-ხევსურეთში, მთათუშეთში, რაჭა-ლეჩხუმში, საბაგირო გზები ყაზბეგსა და ბაკურიანში.

„მობრძანდით, გელით
გაშლილი ხელით,
სტუმართმოყვარე
ყველა ქართველი“...

ნოდარ ხერხეულიძე





სურათებზე: ზევით — მთათუშეთი, ქვევით — ბეთანია.

სიმონ კილაძისა და იოსებ ლოგთათიძის ფოტოები

ყველა პროფესია საამაყოა

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ჩვენი დედაქალაქის საზოგადოებრივი კვების მუშაკები სიყვარულით მიესალმნენ უხუცეს კულინარს, რესტორან „თბილისის“ შეფ-მზარეულს სერგო გობეჯიშვილს, რომელსაც 80 წელი შეუსრულდა.

67 წელიწადია, რაც პატივცემული სერგო მშრომელებს ემსახურება. ამ ხნის განმავლობაში მისი ხელით დამზადებული გემრიელი კერძები მილიონზე მეტ ადამიანს უგემია და მოუწონებია, ვინ მოთვლის, რამდენი მადლობა მიუღია პირადად თუ წერილობით.

ბატონი სერგო ღიმილით იგონებს ერთ შემთხვევას: რესტორანს ფრანგი სტუმარი ეწვია. პირის გემოს მოყვარულმა უცხოელმა ქართული სამზარეულოს გაცნობა მოინდომა. იგი დარწმუნებული იყო, რომ შესთავაზებდნენ მწვადს, კუპატს, ჩახოხბილს, ტაბაკას... რაოდენ დიდი იყო მისი გაოცება, როცა მას მიართვეს ელარჯი, ჭოთნის ლობიო, ბადრიჯნის საცივი, ნიგვზიანი ხარშო, ხინკალი... ქართული პიკანტური კერძებით მოხიბლულმა ფრანგმა გულითადი მადლობა გადაუხადა შესანიშნავ მზარეულს.

— ჩვენს ქვეყანაში ყველა პროფესია საჭირო და საამაყოა, — ბრძანა ბატონი სერგო საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს საკულინარიო სკოლის ახალგაზრდებს, რომლებიც მასთან პრაქტიკას გადიან, — უნდა გიყვარდეს შენი სამუშაო, არასოდეს არ უნდა კმაყოფილდებოდე მიღწეულით.

ღირსეულად დაფასდა უხუცესი მზარეულის გარჯა. ხალხმა შეიყვარა პატიოსანი შრომისათვის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კი საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

საქართველო — ტურიზმის ქვეყანა

ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ჩვენს ქვეყანაში 230 ათასზე მეტი საბჭოთა და უცხოელი სტუმარი ჩამოდის. თუ როგორ ხვდებიან და უმასპინძლდებიან სტუმართმოყვარე ქართულ მიწაზე სტუმრებს, მოგვითხრობს მოკლემეტრაჟიანი ფილმი — „საქართველო — ტურიზმის ქვეყანა“.

უახლოეს მომავალში ამ ფილმს აჩვენებენ ირანის დედაქალაქ თეირანში, სადაც წლეულს ოქტომბერში გაიხსნება აზიის ქვეყნების მეორე საერთაშორისო ბაზრობა.

ბოზბაში

ნახევარი კილო გარეცხილი ცხვრის ან ბატკნის ხორცი (უმჯობესია მკერდის ნაწილი) დაჭერით, ჩაყარეთ ქვაბში, დაუმატეთ ორმოცდაათი გრამი დუმა (მთლიანი ნაჭერი), დაასხით 8-10 ჩაის ჭიქა ცივი წყალი და დადგით მოსახარშად. ხარშვისას ქაფი მოხადეთ. ცოტა ხნის შემდეგ შეურიეთ ხორცსაკეპ მანქანაში გატარებული 300-400 გრამი ხახვი. იდუღოს კიდევ ერთ საათს. მერე წვენიდან ამოიღეთ მოხარშული დუმა, დაუმატეთ 8-10 ძირი ქინძი, გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში და მიუმატეთ მდუღარე წვენს. კვლავ იდუღოს 20-30 წუთს და შემდეგ შეაზავეთ დანაყილი პილპილით (გემოვნებით), მარილით, თუ გსურთ, მოხარშული გაწურული ტყემლით (Prunus divaricota), ალუჩით (Prunus vachuschtii) ან მჟავე ქლიავით (Prunus domestica) და ხარშეთ 2-3 წუთს.

ბადრიჯანი ნიგვზით

ერთი კილოგრამი კანიანი ბადრიჯანი დანით გასერეთ სიგრძეზე ისე, რომ ერთმანეთს არ მოშორდეს, ჩაწყვეთ ქვაბში, დაასხით მდუღარე წყალი (ერთი ჩაის ჭიქა), დადგით ცეცხლზე და მოხარშეთ. მოხარშული ბადრიჯანი გადაიტანეთ თუშფალანგში (დახვრეტილძირიანი საწური), შეაგრილეთ, კარგად გაწურეთ და აჰქენით ხელით. ერთი ჩაის ჭიქა ნიგოზი, 2 ღერი ქინძი, 2 კბილი ნიორი, წიწაკა და მარილი (გემოვნებით) დანაყეთ ერთად, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი 2 თავი ხახვი, ასევე წვრილად დაჭრილი 1 ჩაის ჭიქა ქინძი და რეჰანი (Ocimum basilicum), ¼ ჩაის ჭიქა ქონდარი (Satureja hortensis), ¾ ჩაის ჭიქა ოხრახუშის ფოთოლი (Petroselinum sativum) და ნიახური (Apium graveolens), დაასხით ღვინის ძმარი გემოვნებით და აურიეთ. გამზადებული მასალა დაუმატეთ ბადრიჯანს, კარგად აურიეთ და გადაიტანეთ შესაფერ ჭურჭელზე. ზედაპირი მორთეთ ალყა-ალყა, რგოლებად დაჭრილი ხახვით და ქინძის ან ოხრახუშის ფოთლით.

ქართული სამზარეულო

შული გაწურული ტყემლით (Prunus divaricota), ალუჩით (Prunus vachuschtii) ან მჟავე ქლიავით (Prunus domestica) და ხარშეთ 2-3 წუთს.

გადრიჯანი ნიგვზით

ერთი კილოგრამი კანიანი ბადრიჯანი დანით გასერეთ სიგრძეზე ისე, რომ ერთმანეთს არ მოშორდეს, ჩაწყვეთ ქვაბში, დაასხით მდუღარე წყალი (ერთი ჩაის ჭიქა), დადგით ცეცხლზე და მოხარშეთ. მოხარშული ბადრიჯანი გადაიტანეთ თუშფალანგში (დახვრეტილძირიანი საწური), შეაგრილეთ, კარგად გაწურეთ და აჰქენით ხელით. ერთი ჩაის ჭიქა ნიგოზი, 2 ღერი ქინძი, 2 კბილი ნიორი, წიწაკა და მარილი (გემოვნებით) დანაყეთ ერთად, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი 2 თავი ხახვი,

მოუსმინეთ საქართველოს

ᲛᲝᲣᲡᲛᲘᲜᲔᲗ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოჰერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოჰერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირადღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოჰერცი.

შინვოსვლელი

სად ხარ?!

მაჭარაძე ვასო შიოს ძეს

დაბადებულს 1915 წელს ქალაქ თბილისში, ეძებს დედა — ელენე გაბრიელის ასული ჩხენკელი-მაჭარაძისა, მცხოვრები ქალაქ თბილისში, ფურცელაძის ქუჩა № 14-ში.

ნაცვლიშვილი ალექსანდრე ვასილის ძეს

დაბადებულს 1920 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ ჭანდარში, ეძებს ძმა — ვალერიან ვასილის ძე ნაცვლიშვილი.

ჯანაშია ნიკოლოზ ოქროპირის ძეს

დაბადებულს 1915 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ახუთში, ეძებენ მეუღლე — ქსენია ივანეს ასული სიორდია-ჯანაშია, შვილები — ციალა და მერი ჯანაშიები, მცხოვრებანი თბილისში, კაჟა-ფშაველას პროსპექტზე № 45-ში (მე-12 კორპუსი, 1 სადარბაზო).

რედაქტორი
ვახტანგ ესვანჯია.

ჩვენი მისამართია: გაზეთ „საბჭოგლოს“ რედაქცია — თბილისი, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი, გიორგი ათონელის ქუჩა № 25.